



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დადგენილება №133

ქ. ბათუმი

14 ნოემბერი, 2018 წ.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს ახალარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის
შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების (სსმ, №168, 28.11.2007), „ბსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის N01-08/127 ბრძანების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, გიორგი დიასამიძის მოხსენებითი ბარათისა (MES 4 18 01376720, 24.10.2018) და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის 2018 წლის 24 ოქტომბრის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს 2018 წლის არჩევნების ჩატარებისა და ბსუ-ს ფაკულტეტებიდან და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან წარმომადგენლების არჩევის შესახებ და ცნობილი იქნეს 2022 წლის 14 ნოემბრამდე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს შემდეგი შემადგენლობის უფლებამოსილება:

1.1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან - ასოცირებული პროფესორი პაატა აროშიძე;

1.2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან - პროფესორი გული შერვაშიძე;

1.3. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - ასოცირებული პროფესორი ქეთევან ბერიძე;

1.4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან - პროფესორი რუსუდან ხუხუნაიშვილი;

1.5. ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან - პროფესორი ენვერ ხალვაში;

1.6. ტურიზმის ფაკულტეტიდან - პროფესორი ანზორ დევაძე;

1.7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - პროფესორი მამია ფალავა;

1.8. ბსუ-ს დამოუიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტიდან - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ზურაბ მიქელაძე;

1.9. ბსუ-ს დამოუიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტიდან - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თამილა ლომთათიძე;

1.10. ბსუ-ს დამოუიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტიდან - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ზოია სიხარულიძე.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში